ორი წყალობაა, რომელსაც ადამიანები სათანადოდ არ აფასებენ: ჯანმრთელობა და თავისუფალი დრო

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ორი წყალობაა, რომელსაც ადამიანები სათანადოდ არ აფასებენ: ჯანმრთელობა და თავისუფალი დრო».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) გვამცნო ალლაჰის წყალობათაგან ორ დიდ წყალობაზე, რომელსაც აძლევს ადამიანს, ადამიანთა უმრავლესობა კი წაგებულია მათი გამოყენების დროს, რადგანაც მათ ფლანგავს არა საჭირო ადგილას; როდესაც ადამიანში თავმოყრილია ორი წყალობა ჯანმრთელობა და მასთან ერთად თავისუფალი დრო, და ამ დროს მასში ჭარბობს სიზარმაცე და თავს ანებებს ღმერთის მორჩილებას, ის არის წაგებული; ასეთია ადამიანთა უმრავლესობის მდომარეობა, ხოლო თუ გამოიყენებს მის თავისუფალ დროს და ჯანმრთელობას ალლაჰის მორჩილებაში, ის არის მოგებული; რადგანაც ამქვეყნად ხდება იმ ქვეყნის მომკობა, ამქვეყნად არსებობს ვაჭრობა, რომლის შედეგიც იმქვეყნად ვლინდება, თავისუფალ დროს მოსდევს დაკავება, ჯანმრთელობას მოსდევს ავადმყოფობა, თუნდაც მხოლოდ სიბერე იყოს, ისიც საკმარისია.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5449

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee